ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 29.03.2013 სხდომის

ოქმი №3

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 35 წევრთაგან - 20

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო კონფერენციისთვის მზადების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
2. უცხოელ პროფესორთა მოწვევის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
3. გაცვლით სასწავლო პროგრამებში და კონფერენციებზე ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობისა და დაფინანსების კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
4. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. თამარ დოლბაიამ ინფორმაცია გააკეთა პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის "სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა" შესახებ, რომელიც ტარდება მიმდინარე წლის 3-5 ივნისს. თეზისების გამოგზავნის ვადაა 10 აპრილი. ამ დროისთვის უკვე გაკეთებულია 20-ზე მეტი განაცხადი, მათ შორის 10-მდე უცხოელი პროფესორ-მკვლევარის. კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე უცხოელი პროფესორის მიერ სტუდენტებისთვის ლექციების წაკითხვა. თსუ-ის სტამბაში დაიბეჭდება კონფერენციის თეზისები და მასალები.

აზრი გამოთქვეს: ს. კაპანაძემ, ი. სალუქვაძემ, ზ. დავითაშვილმა
დაადგინეს: ფაკულტეტზე პირველად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია და მთელი ძალისხმევა იქნეს მიმართული მის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.
მოისმინეს: 2. ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ს. კაპანაძემ აღნიშნა, რომ ასათვისებელია ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული პუნქტი, უცხოელი პროფესორების სტუმრობისათვის.

აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, ი. სალუქვაძემ, ზ. დავითაშვილმა, რ. გაჩეჩილაძემ
დაადგინეს: მიმართულებებმა მოაწოდონ ფაკულტეტის ადმინისტრაციას ჩამომსვლელ უცხოელ სტუმართა სია.

მოისმინეს: 3. გაცვლით სასწავლო პროგრამებში და კონფერენციებზე ფაკულტეტის სტუდენტთა მონაწილეობისა და დაფინანსების კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ ისაუბრა ს. კაპანაძემ.

აზრი გამოთქვეს: სალუქვაძემ, ზ. დავითაშვილმა, რ. გაჩეჩილაძემ, გ. გოგსაძემ
დაადგინეს: მიმართულებებმა შეიმუშაონ და წარმოადგინონ შესაბამისი მიმართულების სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი და დაფინანსების მიზნებთან თავსებადი აქტივობების ჩამონათვალი, რაც დაეხმარება ფაკულტეტის ადმინისტრაციას დაფინანსების კრიტერიუმების შემუშავებაში. ახალი კრიტერიუმების დამტკიცებამდე დაფინანსების პროცესი უნდა გაგრძელდეს არსებული წესის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ კონფერენციებზე გამომსვლელ სტუდენტთა მგზავრობის, დღიური და ვიზის თანხისა და გაცვლით პროგრამებში გამარჯვებულ სტუდენტთა მგზავრობის თანხის გადახდას.

მოისმინეს: 4. მიმდინარე საკითხები:

1). ფაკულტეტზე შუალედური გამოცდების ორგანიზებულად ჩატარების შესახებ

დაადგინეს: შუალედური გამოცდები ჩატარდეს სემესტრის მე- 8 კვირას.
ამ პერიოდში სასწავლო პროცესი არ განხორციელდეს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ცვლილებები შევიდეს სილაბუსებში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ს. კაპანაძე, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

29 მარტი, 2013 წ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

1. სერგი კაპანაძე

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ლალი სურმანიძე
4. თამარ მახარაძე
5. ნინო დურგლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. გიორგი ხელაშვილი
9. ალექსანდრე რონდელი

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

10. ალექსანდრე კუხიანიძე
11. მალხაზ მაცაბერიძე
12. გია ჟორჟოლიანი
13. ნანა მაჭარაშვილი

ფსიქოლოგიის მიმართულება

14. რევაზ ჯორბენაძე
15. გუგული მაღრაძე
16. თამარ გაგოშიძე
17. ია კუტალაძე
18. ხათუნა მარწყვიშვილი
19. მზია წერეთელი

ჟურნალისტიკის მიმართულება

20. მარიამ გერსამია
21. დალი ოსეფაშვილი
22. მარი წერეთელი
23. მანანა შამილიშვილი
24. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

25. რევაზ გაჩეჩილაძე
26. გიორგი გოგსაძე
27. თამარ დოლბაია
28. იოსებ სალუქვაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

29. ლევან ჩოხელი
30. დავით მჭედლიშვილი
31. ბექა დადეშქელიანი
32. გიორგი ყიფშიძე
33. თეონა კვანჭიანი
34. გიორგი კაკაურიძე
35. ნესი კუპრეიშვილი